განკარგულება - N 21.2006.2258
31 / დეკემბერი / 2021 წ.

„საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო მეწარმეთა ხელშეწყობის მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ზოგიერთი პირის მიმართ ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 30 ივნისის N21.907.1025 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე და „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო მეწარმეთა ხელშეწყობის მიზნით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ზოგიერთი პირის მიმართ ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N79 განკარგულების გათვალისწინებით,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1.„საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო მეწარმეთა ხელშეწყობის მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ზოგიერთი პირის მიმართ ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 30 ივნისის N21.907.1025 განკარგულების:

ა) პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) მოსარგებლეს, რომელსაც შესაბამისი სარგებლობის ხელშეკრულების ვადა ამოეწურა/ხელშეკრულება შეუწყდა/ამოეწურება/შეუწყდება 2020 წლის 1 იანვრიდან - „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო მეწარმეთა ხელშეწყობის მიზნით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ზოგიერთი პირის მიმართ ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N79 განკარგულების (შემდგომში - „საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის განკარგულება“) გამოცემამდე და ფაქტობრივად სარგებლობდა/ სარგებლობს უძრავი ქონებით, სარგებლობის ვადის ამოწურვის თარიღიდან, საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის განკარგულების გამოცემის მომენტამდე პერიოდზე უძრავი ქონების ფაქტობრივი სარგებლობისათვის არ დაეკისროს სარგებლობის საფასურის (ქირის) და შესაბამისი პირგასამტეხლოს გადახდა. უძრავი ქონების ფაქტობრივი სარგებლობისთვის გადახდილი სარგებლობის საფასური/ პირგასამტეხლო (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ ექვემდებარება ჩათვლას ან/და დაბრუნებას.

ბ) პირველი პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.ა) ასეთ მოსარგებლეს, რომელიც საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის განკარგულების გამოცემის მდგომარეობით ფაქტობრივად სარგებლობს უძრავი ქონებით ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით, მის მიერ ამ განკარგულებით დადგენილი წესით ნების გამოხატვის შემთხვევაში, შესაბამის უძრავ ქონებაზე სარგებლობის ვადა შესაძლებელია გაუგრძელდეს არაუმეტეს სარგებლობის ვადის ამოწურვის (შეწყვეტის) თარიღიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე, შესაბამისი სარგებლობის ხელშეკრულების პირობების უცვლელად, იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი უძრავი ქონება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ სხვა პირზე არ არის რაიმე ფორმით განკარგული.“

გ) პირველი პუქნტის „ა.გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.გ) „ა.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიება გავრცელდეს მხოლოდ იმ მოსარგებლეთა მიმართ, რომლებიც დადგენილი წესით, არაუგვიანეს 2022 წლის პირველი აპრილისა გამოხატავენ ნებას სარგებლობის უფლების გაგრძელების თაობაზე, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთვის შესაბამისი განცხადების წერილობითი ფორმით წარდგენის გზით და რომელთა მიმართაც სსიპ - ქონების მართვის სააგენტო გამოსცემს ამ განკარგულების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ბრძანებას. მოსარგებლის განცხადებას თან უნდა დაერთოს მომართვის დროისათვის უძრავი ქონების ფაქტობრივად ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია/ ფოტომასალა.“

დ) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) მოსარგებლეს, რომელსაც შესაბამისი სარგებლობის ხელშეკრულების ვადა ეწურება 2022 წლის 1 იანვრამდე (გარდა ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირებისა), მის მიერ ამ განკარგულებით დადგენილი წესით ნების გამოხატვის შემთხვევაში, შესაბამის უძრავ ქონებაზე სარგებლობის ვადა შესაძლებელია გაუგრძელდეს არაუმეტეს სარგებლობის ვადის ამოწურვის თარიღიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე, შესაბამისი სარგებლობის ხელშეკრულების პირობების უცვლელად.“

ე) პირველი პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ.ა) ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიება გავრცელდეს მხოლოდ იმ მოსარგებლეთა მიმართ, რომლებიც დადგენილი წესით, არაუგვიანეს 2022 წლის პირველი აპრილისა გამოხატავენ ნებას სარგებლობის უფლების გაგრძელების თაობაზე, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთვის შესაბამისი განცხადების წერილობითი ფორმით წარდგენის გზით და რომელთა მიმართაც სსიპ - ქონების მართვის სააგენტო გამოსცემს ამ განკარგულების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ბრძანებას.“

ვ) პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მოსარგებლეს (გარდა ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებული პირებისა), რომელსაც საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის განკარგულების გამოცემის მომენტისათვის გაფორმებული აქვს მოქმედი სარგებლობის ხელშეკრულება, მის მიერ ამ განკარგულებით დადგენილი წესით ნების

გამოხატვის შემთხვევაში, შესაბამის უძრავ ქონებაზე სარგებლობის ვადა შესაძლებელია გაუგრძელდეს შესაბამისი სარგებლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაზე დამატებით 2 (ორი) კალენდარული წლით, შესაბამისი სარგებლობის ხელშეკრულების პირობების უცვლელად."

ზ) პირველი პუნქტის „გ.ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ.ა) ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიება გავრცელდეს მხოლოდ იმ მოსარგებლეთა მიმართ, რომლებიც დადგენილი წესით, არაუგვიანეს 2022 წლის პირველი აპრილისა გამოხატავენ ნებას სარგებლობის უფლების გაგრძელების თაობაზე, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთვის შესაბამისი განცხადების წერილობითი ფორმით წარდგენის გზით და რომელთა მიმართაც სსიპ - ქონების მართვის სააგენტო გამოსცემს ამ განკარგულების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ბრძანებას."

თ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

„ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ა.ბ" ქვეპუნქტის მოქმედება არ ვრცელდება იმ მოსარგებლეებზე, რომელთაც უძრავი ქონების სარგებლობის ქირა განსაზღვრული აქვთ არაფიქსირებული ოდენობით (შემოსავლის პროცენტით)."

ი) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ამ განკარგულებებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებები ვრცელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული), ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით, აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოსარგებლეთა მიმართ, რომლების აკმაყოფილებენ ამ განკარგულებით გათვალისწინებულ შესაბამის კრიტერიუმებს, გარდა იმ საწარმოებისა, რომელშიც მუნიციპალიტეტის კუთვნილი წილი/წილის ნაწილი მართვის უფლებით გადაცემულია სხვა სუბიექტზე.

2.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

3. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

კახა კალაძე